

**ხარისხის კულტურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში:
დამკვიდრებული პრაქტიკა და სამომავლო შესაძლებლობები**

ნინო ფოფხაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018**

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ფოფხაძე, 21 ივლისი 2018

აბსტრაქტი

2018 წელს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 07/6 ბრძანების საფუძველზე შევიდა ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებში. აღნიშნული ცვლილებით მე-2 სტანდარტის 2.2 ქვედა სტანდატში, პირველად ჩაიწერა მოთხოვნა ხარისხის კულტურის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის შედეგებს, თუ რა ეტაპზეა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის კულტურის დანერგვის პროცესი. ასევე, კვლევის მიზანი იყო განესაზღვრა ის მთავარი ფაქტორები, რომელიც ამ პროცესის დანერგვას უწყობს ხელს. კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რომლის ფარგლებში შეირჩა 3 უნივერსიტეტი საქართველოში.

მონაცემების ანალიზმა აჩვენა საერთო ტენდენციები ხარისხის კულტურის მიმართებით, რაც გულისხმობს შემდეგს: ქართულ უნივერსიტეტებში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის კულტურა, ხოლო ხარისხის კულტურის დანერგვა ჯერ მხოლოდ რიტორიკის ნაწილია. ეს აიხსნება იმით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მეხსიერება ქართულ უნივერსიტეტებს ფაქტიურად არ გააჩნიათ. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი კატალიზატორი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტი. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე,საინტერესო და მნიშვნელოვანია ამ საკითხის შემდგომი შესწავლა, რომელიც ამ კვლევასთან შედარებით უფრო რეპრეზენტაბელური იქნება და გარკვეული დროის შემდეგ ხარისხის კულტურის დანერგვის პროგრესს გააანალიზებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხარისხის კულტურა, ხარისხის უზრუნველყოფა, ჩართულობა, ხელმძღვანელობის ზედა რგოლი, ინფორმაციული დინება

Abstract

In 2018, Minister of Education and Science issued the Decree N 07/6, which amended the Authorization Standards for Higher Education Institutions. Due to these amendments, under the Sub-standard 2.2 it is explicitly indicated, that universities are required to promote establishment of quality culture in the institution. This paper presents the research results, which show the current stage, reached in the process of introduction of quality culture in the Georgian higher education institutions. Moreover, research aim was to define the main factors, which empower and foster quality culture introduction process. Within the research 3 universities has been purposefully selected and several interviews has been conducted with various stakeholders.

Data analysis shows the common tendencies regarding the quality culture, which means the following: Georgian universities have developed compliance based culture instead of quality culture, meanwhile the latter is currently part of rhetorical narratives. As Georgian universities do not have the institutional recollection of quality assurance, the main catalyst for these processes is National Center for Educational Quality Enhancement. It is quite important and interesting to follow-up the process and to conduct the research of the progress in this field, which could give us relatively more representative results.

Key Words: Quality Culture, Quality Assurance, Participation, Senior Management, Informational Flow

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ელენე ჯიბლაძეს, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, მენტორობისთვის და თანადგომისთვის. ასევე მადლობას ვუხდით ჩემს თანამშრომლებს, რომლებიც ხელს მიწყობდნენ და მამხმევებდნენ ნაშრომზე მუშაობის პროცესში. და ბოლოს, დიდი მადლობა ყველა რესპოდენტს, რომელიც დამთანხმდა ინტერვიუზე და არ დაეზარათ კითხვარის შევსება.